ქალაქის პოლიტიკური ეკონომიკა და ურბანული დაგეგმარება: თბილისში ვაკის უბნის ურბანული განვითარების მაგალითი

თამუნა ქართველიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრატურის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო ზვიადაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამუნა ქართველიშვილი

24.05.20

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეისწავლის თბილისში ვაკის უბნის მაგალითზე პოლიტიკური ეკონომიკასა და შესაბამის ურბანულ და კულტურულ განვითარებას. ვაკეში კაპიტალის არათანაბარი აკუმულაციისა და სოციალურ და კულტურულ ფაქტორებზე მისი გავლენის ანალიზისთვის გამოყენებულია ორი თეორიული პარადიგმა: პოლიტიკური ეკონომიკის ნეო-მარქსისტული სკოლა და ჯენტრიფიკაციის თეორიები. ნაშრომში მიმოხილულია ვაკეზე არსებული ისტორიული პერსპექტივები, თანამედროვე ქალაქდაგეგმარების პრინციპები და უძრავი ქონების ბაზრის დინამიკა, რაც საშუალებას იძლევა აიხსნას უბნის ურბანული და კულტურული ტრანსფორმაცია სოციალისტური და პოსტ-სოციალური ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით. ნაშრომის მიზანია, დაადგინოს, თუ როგორ გარდაიქმნება ელიტური უბანი კაპიტალის აკუმულაციის წყაროდ. კვლევის შედეგები მიუთითებს დედაქალაქისა და კერძოდ, ვაკის, ეკონომიკურად მზარდი მანქანად ჩამოყალიბების ტენდენციაზე, რაც გამოიხატება აქ წარმოდგენილი უძრავი ქონების სექტორის განვითარებით, სიმბოლური კაპიტალის მატერიალურ კაპიტალად ტრანსფორმაციით, ბიზნეს ფუნქციონალიზაციის ზრდითა და სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობილი უბნის ურბანული რეგენერაციის პროგრამით. ჩამოთვლილ ფაქტორებზე დაყრდნობით, კვლევა საუბრობს ქალაქში მატერიალური კეთილდღეობის გადანაწილებაზე, სოციალურ უთანასწორობასა და ქალაქის მიკროგეოგრაფიით გაჩენილ კულტურული სეგრეგაციის ნიშნებზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პოლიტიკური ეკონომიკა, კაპიტალის აკუმულაცია, ჯენტრიფიკაცია, ურბანული დაგეგმარება

Abstract

The following thesis studies links between political economy, urban environment and cultural transformation in Vake, Tbilisi. Thesis applies two theoretical frameworks such as neo-Marxist political economy and theories on gentrification. Based on historical perspectives, overviewing modern planning principles and real estate business in Vake, we try to explain urban and cultural transition in the period of socialist, pre-capitalist and capitalist economy. The main goal here is to identify the reason as to why Vake attracts the most of the economic capital of the city. Research concludes with the tendency of Vake becoming a "growth machine", the reality which manifests itself in a massive development of real estate sector and state-led urban regeneration programs. Based on these factors, thesis argues that in Vake, Tbilisi we face the challenges of urban equity, social inequality and cultural segregation caused by the micro geography of space.

Key Words: Political Economy, Capital Accumulation, Gentrification, Urban Planning

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, სოფიო ზვიადაძეს, კვლევის პროცესში გამოჩენილი მენტორობისათვის და დახმარებისთვის. მისი მხარდაჭერისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ურბანული სოციოლოგიის კურსის გარეშე ეს ნაშრომი არ შედგებოდა. ასევე, მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე თითოეულ ექსპერტს, რომელთაც ძალისხმევა არ დაიშურეს კვლევის ემპირიული მონაცემებით გამდიდრებისთვის და საკითხის ღრმა ანალიზისთვის. მადლობა ჩემს ახლო მეგობრებს, რომლებიც მუდმივად მამხნევებდნენ და დამატებით მოტივაციას მაძლევდნენ კვლევის პროცესში.